



KA040126840356917

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7 ; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ფაქსი.: (+995 32) 2 92 33 78; ელ-ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ 688/სა

17 / ნოემბერი / 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წლიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით შესაქმნელი კომისიის შერჩევის თარიღის განსაზღვრისა და კომისიაში გაწევრიანების პირობების შესახებ

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 18¹ მუხლის მე-3 პუნქტის, „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-8 მუხლის შესაბამისად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წლიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით შესაქმნელი კომისიის შერჩევის თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 8 დეკემბერი.
2. საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.csb.gov.ge) გამოქვეყნდეს კომისიაში გაწევრიანების პირობები დანართის შესაბამისად.
3. კომისიის წევრობის კანდიდატებმა წარმოადგინონ დანართით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დამადასტურებელი ინფორმაცია და მონაცემები, ხოლო კომისიის წევრობის კანდიდატმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ასევე წარმოადგინონ ინფორმაცია და მონაცემები კომისიაში მათი წარმომადგენლის შესახებ არაუგვიანეს კომისიის შერჩევის თარიღისა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბიუროს უფროსი

ეკატერინე ქარდავა